ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 163 (7724)
26 აგვისტო,
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

„მეგობრობა - 84“

გურამ ბიგანიშვილი ჩემპიონია

ტალინი. აფროსანთა საერთაშორისო რეგატის დამთავრებამდე სამ კლასში უკვე ცნობილი გახდა გამარჯვებულთა ვინაობა.

„მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასში ხუთი რბოლის შემდეგ წინ იყო მინსკელი ალექსანდრე შპილკოს ეკიპაჟი. მეექვსე რბოლამ კიდევ უფრო განამტკიცა ლიდერის პოზიციები. შპილკოს ეკიპაჟმა ამ შეჯიბრებაში უკვე გაინაღდა პირველი ადგილი.

ვადამდე გახდნენ საერთაშორისო რეგატის ჩემპიონები: „სოლინგის“ კლასში ჰელმარ ნაუკის (გდრ), „ტორნადოში“ კი სერგეი პრიიმაკის (სსრ კავშირი) ეკიპაჟები.

ჩვენ, ცხადია, ყველაზე მეტად გვაინტერესებს ბრძოლის შედეგები „ვარსკვლავის“ კლასში, სადაც ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო გურამ ბიგანიშვილის ეკიპაჟმა.

ბიგანიშვილი ყოველ ახალ რბოლაში გააზრებულად იბრძოდა და სხვაობაც სულ უფრო მეტად იზრდებოდა მასსა და მდევრებს შორის.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ბიგანიშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა.

მეოთხედფინალში გავიდნენ

კატოვიცე. საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს ჩოგბურთელთა პირადი ტურნირის მერვედფინალში.

ყველაზე ძნელი გამოცდა ჰქონდა მოსკოველ ნატალია რევას, რომელმაც მესამე გადამწყვეტ პარტიაში რისვაი-ვაგლახით აჯობა ნორა ბიჩიკოვას (ჩეხოსლოვაკია) — 3:6, 7:5, 7:6. დაძაბულად წარიმართა ახალგაზრდა მოსკოველი ჩოგბურთელის ვიქტორია მილვიდსკაიას შეხვედრა გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონ ბულგარელ კატერინა მალეევასთან — 3:6, 6:4, 7:5.

დანარჩენი შეხვედრები საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობით ასე დამთავრდა: იულია სალნიკოვა — რეგინა მარშიკოვა (ჩეხოსლოვაკია) 6:2, 6:2, ელენე ელისეენკო — მონიკა ვანეკი (პოლონეთი) 6:4, 6:2, ლარისა სავჩენკო — კრისტინე შულცი (გდრ) — 2:6, 6:3, 6:4, სვეტლანა ჩერნოვა — ირმა ნოვაკოვა (ჩეხოსლოვაკია) 7:5, 6:4.

ვაჟთა ტურნირში საბჭოთა სპორტსმენთაგან მხოლოდ ვადიმ ბორისოვს დასჭირდა სამი პარტია გამარჯვებისთვის. მერვედფინალში მან აჯობა დალიბორ დავიდს (ჩეხოსლოვაკია) 6:1, 5:7, 6:1.

კონსტანტინე პუგაევმა (სსრ კავშირი) დაამარცხა ბოგდან ჰრონეში (პოლონეთი) 6:3, 7:6, სერგეი ლეონიუკმა (სსრ კავშირი) — მიროსლავ ლაჩეკი (ჩეხოსლოვაკია) 6:2, 6:1, გირტს ძელდემ (სსრ კავშირი) — იულიან სტომატოვი (ბულგარეთი) 7:5, 7:5, ალექსანდრე ზვერევმა (სსრ კავშირი) — ვალდემარ როგოვსკი (პოლონეთი) 7:6, 6:2, ანდრეი ჩესნოკოვმა (სსრ კავშირი) — რუსლან რაიმოვი (ბულგარეთი) 6:2, 6:3.

საბჭოთა ჩოგბურთელები მეოთხედფინალში გავიდნენ.

(იხ. მე-2-მე-4 გვ.).

ამ სურათზე თქვენ ხედავთ პროფტექგანათლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის აბსოლუტურ ჩემპიონს ევგენია შირინკინას. (შეჯიბრების ანგარიში იხილეთ მე-4 გვერდზე).

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა

გამოცდილება თუ სიჭაბუკე?

გუშინ დილით „დინამოს“ სპორტკომბინატის ჩოგბურთის სტადიონზე მოსულ გულშემატკივართა ყურადღება მე-3 და მე-4 კორტებისკენ იყო მიპყრობილი. სწორედ ამ მოედნებზე, ერთმანეთის გვერდით თამაშობდა ვაჟთა ტურნირის მერვედფინალის მონაწილე სამივე თბილისელი სპორტსმენი: ვლადიმერ გაბრიჩიძე საკმაოდ გამოცდილ ტალინელ ალარ მილკს ხვდებოდა, ხოლო ირაკლი მეტრეველი გიორგი მირიანაშვილს ეთამაშებოდა.

გაბრიჩიძემ ლამაზი, აქტიური მოქმედებით წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა თავის მეტოქეს. 16 წლის თბილისელი ჩოგბურთელი ბადესთანაც ხშირად გადიოდა და უკანა ხაზიდანაც საკმაოდ ზუსტად ურტყამდა, რითაც საგონებელში ჩააგდო ასპარეზობის ერთ-ერთი ფავორიტი. თუმცა, გაბრიჩიძის უპირატესობაზე ანგარიშიც ნათლად მეტყველებს — 6:4, 6:2.

ასევე აშკარა იყო მეტრეველის უპირატესობა მირიანაშვილთან. ამ უკანასკნელმა მეტოქის ძლიერ დარტყმებს ვერაფრით მოუძებნა „გასაღები“ და ორ პარტიაში დათმო მატჩი — 3:6, 3:6.

სხვა მერვედფინალური შეხვედრებიდან აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, 43 წლის თომას ლეიუსის (ტაშკენტი) გამარჯვება ლენინგრადელ ს. ბოგდანოვთან — 6:4, 6:2. ნევისპირელმა სპორტსმენმა ვერაფერი მოუხერხა ლეიუსის არცთუ ისე ძლიერ, მაგრამ ზედმიწევნით ზუსტ დარტყმებს, რაც საბოლოო ანგარიშშიც გამოიხატა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა მერვედფინალური შეხვედრის ბედი ორ პარტიაში გადაწყდა და გადამწყვეტი სეტის გათამაშება არც ერთ წყვილს არ დასჭირვებია.

დღეს, მეოთხედფინალში 17 წლის მეტრეველი თავის თანატოლს, კალინინგრადელ ა. ვოლკოვს შეხვდება, ხოლო გაბრიჩიძეს მასზე 27 (!) წლით უფროს ლეიუსთან მოუწევს პაექრობა. დანარჩენი ორი მეოთხედფინალური წყვილი ასეთია: ა. სუურტპალი (ტალინი) — ს. ბური (ლენინგრადი), მ. ილარიონოვი (კიშინიოვი) — ა. კაცნელსონი (მინსკი).

დღესვე იასპარეზებენ მეოთხედფინალის მონაწილე ქალები, რომლებიც გუშინ ისვენებდნენ. სასიამოვნოა, რომ რვა უძლიერესს შორის ჩვენი ქალაქის წარმომადგენელსაც ვიხილავთ. თუმცა ირინე მალაციძეს ნახევარფინალში გასასვლელად მძიმე ბრძოლა მოელის: იგი მოსკოველ ალა სალნიკოვას ხვდება. აი, დანარჩენი წყვილებიც: ე. როჟკოვა (კიევი) — ნ. დროზდოვა (მინსკი), ე. ვლადიმირსკაია (კიშინიოვი) — ა. კოროსიდი (სიმფეროპოლი), ს. ჩერკოვსკაია (მინსკი) — ე. პოლიაკოვა (მოსკოვი).

საღამოს მეტრეველი და გაბრიჩიძე კვლავ გამოვიდნენ კორტზე — წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში შეხვდნენ მეტად ძლიერ „დუეტს“ — ტალინელებს ა. სუურტპალსა და ა. მილკს. ნებისმიერი ციფრობრივი თუ სხვა მონაცემით ბალტიისპირელთა უპირატესობა თითქოს ეჭვგარეშე უნდა ყოფილიყო. საკმარისია ითქვას, რომ სუურტპალს საკავშირო კლასიფიკაციაში საპატიო, მე-10 ადგილი უკავია, ხოლო მის პარტნიორს — მე-19. რაც შეეხება გაბრიჩიძესა და მეტრეველს, ისინი ამ სიაში ბევრად უკან არიან — გაბრიჩიძე 73-ეა, მეტრეველი კი — 87-ე. გარდა ამისა, 25 წლის სუურტპალსა და 27 წლის მილკს თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ 16-17 წლის ჭაბუკების დამარცხება.

ყოველივე ეს ასეა, მაგრამ წყვილთა თამაშს საკუთარი კანონები აქვს, რომლებიც არავითარ ციფრებსა და პროგნოზებს არ ემორჩილება. გაბრიჩიძე და მეტრეველი ისე შეთანხმებულად, შეწყობილად მოქმედებდნენ, რომ აღაფრთოვანეს შეხვედრის საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაყურებელი. ბადესთან თამაშში შეუდარებელი იყო გაბრიჩიძე, რომელიც მოკლე, მოჭრილი დარტყმებით გადაუჭრელი ამოცანის წინაშე აყენებდა მეტოქეებს. არანაკლებ ეფექტური იყო მეტრეველის მძლავრი, მახვილგონივრული თამაში... ერთი სიტყვით, თბილისელებმა ისე იოლად დაამარცხეს ტალინელთა ძლიერი წყვილი, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო. აი, ამ შეხვედრის ანგარიშიც — 6:4, 6:2.

ნახევარფინალში გაბრიჩიძე და მეტრეველი შეხვდებიან სიმფეროპოლელებს გ. ჩუკარინსა და ო. ბარანოვს, რომლებმაც დ. ლომანოვი (მოსკოვი) და დ. კოსტინი (ხარკოვი) დაამარცხეს — 6:4, 6:1. მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ ს. ბოგდანოვი, ს. ბური (ორივე — ლენინგრადი) და ა. ვოლკოვი, თ. ლეიუსი.

ქალთა წყვილებში გამოვლინდნენ ფინალისტები. ნახევარფინალურ შეხვედრებში მოსკოველებმა ა. სალნიკოვამ და ე. პოლიაკოვამ დაამარცხეს ნ. სტეპანოვა (ტაშკენტი) და ო. ივანოვა (ლენინგრადი) — 6:4, 6:2, ხოლო კიშინიოველებმა ე. ვლადიმირსკაიამ და ი. სტარჟინსკაიამ მინსკელებს ს. ჩერკოვსკაიასა და ნ. დროზდოვას სძლიეს — 6:4, 6:4.

დავით კაკაბაძე.

სურათზე: ვლადიმერ გაბრიჩიძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„მეგობრობა-84“

მოკრივეთა ტურნირის პრიზიორები

ჰავანა. მოკრივეთა ტურნირი დამთავრდა კუბელ სპორტსმენთა ბრწყინვალე გამარჯვებით. ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს 11 ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი.

აი, პრიზიორებიც:

48 კგ. 1. ხუან ტორესი (კუბა), 2. კარიმჟან აბდრახმანოვი (სსრ კავშირი), 3. იანოშ სტრიჟიკი (პოლონეთი) და დიტმარ გაილიჰი (გდრ); **51 კგ.** 1. პედრო რეიესი (კუბა), 2. ზბიგნევ რაუბოტი (პოლონეთი), 3. ივან ფილჩევი (ბულგარეთი) და იონას ვარადი (უნგრეთი); **54 კგ.** 1. რამონ ლედონი (კუბა), 2. იური ალექსანდროვი (სსრ კავშირი), 3. კლაუს კირშტეინი (გდრ) და გალინ კოლევი (ბულგარეთი); **57 კგ.** 1. ადოლფო ორტა (კუბა), 2. სერიკ ნურკაზოვი (სსრ კავშირი), 3 ხოლენ სიკი (კსდრ) და დიმიტრ სლავჩევი (ბულგარეთი); **60 კგ.** 1. ანხელ ერერა (კუბა), 2. ენკვატ ნერგუი (მონგოლეთი), 3. ინგო ბენსკე (გდრ) და რამონ ჰილი (ვენესუელა); **63,5 კგ.** 1. კანდელარია დუვერგელი (კუბა), 2. ვიაჩესლავ იანოვსკი (სსრ კავშირი), 3. იმრე ბასკატი (უნგრეთი) და ზიგფრიდ მეჰნერი (გდრ); **67 კგ.** 1. ტორსტენ შმიდტი (გდრ), 2. ჰოსე ერნანდესი (კუბა), 3. ლუის გარსია (ვენესუელა) და სერიკ კონაკბაევი (სსრ კავშირი); **71 კგ.** 1. ანხელ ესპინოსა (კუბა), 2. მიჰაელ ტაკოვი (ბულგარეთი), 3. შანდორ ბრანეკი (უნგრეთი) და მიჰაელ ტიმი (გდრ); **75 კგ.** 1. ბერნარდო კომასი (კუბა), 2. ჰენრიკ პეტრიჩი (პოლონეთი), 3. იან ფრანეკი (ჩეხოსლოვაკია) და ზოლტან ფუზესი (უნგრეთი); **81 კგ.** 1. პაბლო რომერო (კუბა), 2. ვლადიმერ შინი (სსრ კავშირი), 3. ლიუ გოლმენი (კსდრ) და მილან პიჩკა (ჩეხოსლოვაკია); **91 კგ.** 1. ერმენეჰილდო ბაესი (კუბა), 2. გიულა ალვიჩი (უნგრეთი), 3. დეიან კირილოვი (ბულგარეთი) და ალექსანდრე იაგუბკინი (სსრ კავშირი); **91 კგ. ზემოთ.** 1. თეოფილო სტივენსონი (კუბა), 2. ვალერი აბაჯანი (სსრ კავშირი), 3. პეტრ სტოიმენოვი (ბულგარეთი) და ული კადენი (გდრ).

საპრიზო ადგილები ქვეყნებს შორის:

	I	II	III
კუბა	11	1	—
გდრ	1	—	6
სსრ კავშირი	—	6	2
პოლონეთი	—	2	1
ბულგარეთი	—	1	5
უნგრეთი	—	1	4
მონგოლეთი	—	1	—
კსდრ	—	—	2
ვენესუელა	—	—	2
ჩეხოსლოვაკია	—	—	2

ბრძოლას ნერვებიც იგებენ

25 აგვისტო მიტიშჩის სასროლეთზე მრგვალ სტენდზე მოასპარეზე სპორტსმენებისთვის შეჯიბრების დასკვნითი დღე იყო. ბოლოსწინა სერიის წინ დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. როგორც იცით, ორი დღის ასპარეზობის შემდეგ შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავდა — თამაზ იმნაიშვილი და ზდისლავ ზაპალა, რომლებმაც 149-149 სამიზნე დაამსხვრიეს. გუშინ პირველ სერიაში მათ არც ერთი თეფში არ გაუშვეს დაუზიანებელი. ნათელი გახდა, რომ ყველაფერი უკანასკნელ 25 გასროლაში ან დამატებით სერიებში გადაწყდებოდა. ბოლო ცდაზე იმნაიშვილი და პოლონელი სპორტსმენი ერთ ჯგუფში მოხვდნენ და საშუალება ჰქონდათ ერთმანეთის გამოსვლისთვის თვალი ედევნებინათ. ნერვებმა პირველად თამაზს უმტყუნა — მან ორჯერ ააცდინა სამიზნეს. ამის შემდეგ თითქმის ყველამ ირწმუნა, რომ იმნაიშვილს ველარავინ დაეწეოდა, მაგრამ თამაზს შეჯიბრების მიწურულს ორმაგი გასროლა, ეგრეთ წოდებული „დუბლეტი“ გაუცუდდა. თუ როგორ მოხდა ეს, შემდეგ თვით სპორტსმენმაც კი ვერ ახსნა. საბოლოოდ თამაზმა და კიდევ ხუთმა სპორტსმენმა 197-197 ქულა მოაგროვეს. ტარიელ ჟღენტმა 192 ქულით დაამთავრა შეჯიბრება.

იმნაიშვილი, როგორც ადრე გაცნობეთ, შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდა, ჩვენი ქვეყნის ნაკრების ღირსებას კი ალექსანდრე ჩერკასოვი და ვალერი ტიმოხინი იცავდნენ. პირველმა 197 ქულა მოაგროვა, მეორემ — მხოლოდ 193. ასე რომ, ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებს სრული საფუძველი აქვთ ეჭვით შეხედონ იმ მოსაზრების სისწორეს, რომლის მიხედვითაც გუნდი დააკომპლექტეს.

„მართვეს“ ახალი ნომერი

მართვე
1984

„მართვეს“ 1984 წლის პირველი ნომერი, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, მრავალფეროვნებით მიიქცევს მკითხველის ყურადღებას. მოწინავე წერილში ლაპარაკია იმ გადაუდებელ ამოცანებზე, რაც ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით უნდა გადაჭრას ჩვენმა საზოგადოებრიობამ. აქვეა დასტამბული რესპუბლიკის განათლების მინისტრის ოთარ ქინქლაძის მიერ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1984 წლის 21 იანვარს წარმოთქმული სიტყვა.

ქართულ კალათბურთს 60 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით „მართვე“ აქვეყნებს ნოდარ ახვლედიანის საინტერესო წერილს „ისტორიის სამოცი საფეხური“.

ყველასთვის ცნობილია ის დიდი წვლილი, რაც ქართული და საბჭოთა ალპინიზმის განვითარებაში ჩვენმა სახელგანთქმულმა ქალებმა მარიამ ტყავაძემ, ლიდუსი ჩხეიძემ, ელენე ლორთქიფანიძემ, ასმათ ნიკოლაიშვილმა და მარო ბეჟანიშვილმა შეიტანეს, მათ ღვაწლს ეძღვნება პეპი პოჭორიშვილის ნარკვევი „თუკი ღირსი ხარ...“

სახელგანთქმულმა მოჭიდავემ თეიმურაზ აფხაზავამ, რომელიც ბოლო წლებში ტრიუმფით გამოდის საერთაშორისო სარბიელზე, ღირსეულად დაიმკვიდრა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ფალავნის სახელი. „მართვეს“ ტრადიციული რუბრიკით „ოსტატი და შეგირდი“ მწვრთნელი ილია ბობოხიძე და შეგირდი თეიმურაზ აფხაზავა მკითხველს მოუთხრობენ იმ „საიდუმლოებაზე“, რამაც ამ ორ ადამიანს საყოველთაო აღიარება მოუტანა.

როგორი იქნება XXI საუკუნის ადამიანი, რა გავლენას მოახდენს მასზე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგები, როგორ შეუძლია მას შეინარჩუნოს ფიზიკური აქტივობა ტექნიკისა და კომფორტის გარემოცვაში? ამ საკითხს ეძღვნება თ. გაჩეჩილაძის წერილი „ჯანმრთელობის პერსპექტივები“. სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობაში ცხენოსნობის ეფექტურ გამოყენებაზე გვესაუბრება ექიმი მანონ ლორია წერილში „ცხენოსნობა — უებარი მკურნალი“. „ძალასაც ალღოდ უნდა“, დოცენტ მ. ოყრომიძის ეს გამოკვლევა, ვფიქრობთ, დიდ სამსახურს გაუწევს მწვრთნელებს. ფეხბურთისა და ჭადრაკის განყოფილებაში დაბეჭდილია ა. გურულის „თენგიზ სულაქველიძე“ და გ. გობეჩიას „დასაწყისი“. აქვე შ. მალოლაშვილი მკითხველს მოუთხრობს საქართველოში ჟოაო აველანჟის სტუმრობის შესახებ.

ამ 20 წლის წინ ტრაგიკულად დაიღუპა ქართული ფარიკაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი მალხაზ ადეიშვილი. სწორედ მის ხსოვნას ეძღვნება „მართვეში“ გამოქვეყნებული წერილი „მარადიული ჭაბუკი“, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

მარადიული ჭაბუკი

რა შეუძლია გააკეთოს და მოიმოქმედოს კაცმა ოცი წლის ასაკში? ძალიან ბევრი ან ძალიან ცოტა. ვინ გამოიყენებს დროს უკეთ, ეს ადამიანზეა დამოკიდებული; დროს, მონაცემებს, შესაძლებლობას, შანსს, რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთხელ მიეცეს ცხოვრებაში.

ეს შანსი ადამიანის პიროვნებად, კაცურ კაცად გადაქცევის შანსია. თუნდაც ოცი წლის ასაკში. პიროვნება ყველა ვერ გახდება, რაოდენ გრძელიც უნდა იყოს ცხოვრების გზა.

არის წერილები, რომლებიც ძნელად იწერება. ვერავითარი პროფესიული უნარი ვერ დაგეხმარება ამ ამოცანის გაადვილებაში. წერილის დაწერა მარადიულ ჭაბუკზე ორმაგად ძნელია: იგი კონკრეტულ ფაქტებთან, მოგონებებთან არის დაკავშირებული, მოუშუშებელ ჭრილობასთან, რომელიც არ ხორცდება.

სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება წერილი მალხაზ ადეიშვილზე, ჭაბუკ მოფარიკავეზე, რომელიც მაშინ მხოლოდ ოცი წლისა იყო, ახლა კი მხოლოდ ორმოცის იქნებოდა.

თვალწინ მიდგას ყმაწვილი, დახვეწილი სახის, ინტელიგენტური გარეგნობის, მოკრძალებული და იმავდროულად ამაყი, საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსე. ხანდახან მგონია, რომ ის ცოცხალია, ასეთი ილუზია მიჩნდება ხოლმე არა მარტო მე, ბევრს, ვინც მას ახლოს იცნობდა. ჯერ კიდევ მაშინ, ოცი წლის წინათ, ზაფხულის დამდეგს, გამთენიისას, აეროპორტში სტუმრის გასაცილებლად გამზადებულმა საზარელი სიტყვები გავიგონე: „მალხაზი მოკლეს!“. ეს იყო დაუჯერებელი ამბავი.

წინა დღეს ერთად ვივარჯიშეთ და გასახდელიდანაც ერთად გამოვედით. საქმეზე მიმეჩქარებოდა. მალხაზს ვთხოვე, რომ ჩემი ჩანთაც მას წაეღო და მეორე დღეს მოეტანა. ის არ მოსულა არც მეორე დღეს და საერთოდ არასდროს. ის დარჩა სამუდამოდ ოცი წლის ჭაბუკად, ოცი წლის მოფარიკავედ, ოცი წლის სტუდენტად და ოცი წლის მეგობრად.

მალხაზ ადეიშვილი და მე თითქოს არ უნდა ვყოფილიყავით ახლო მეგობრები. მე მასზე უფროსი ვიყავი რამდენიმე წლით. გარდა ამისა, ფარიკაობის ერთ სახეობაში, ხმალში გამოვდიოდით და, ბუნებრივია, ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს საფარიკაო ბილიკზე. მაგრამ სპორტი, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს დილეტანტისათვის, მისი ზერელე მაცქერლისათვის, მეტოქეებს ამეგობრებს და აახლოებს. ეს არის ალბათ ერთი დიდი სიკეთე, რომელიც სპორტის ფენომენს მოაქვს ახალგაზრდა კაცის მორალურ-ეთიკური მრწამსის ჩამოყალიბებისათვის.

ახლა აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს მოგებულ და წაგებულ ბრძოლებს. დარჩა მხოლოდ სასიამოვნო შეგრძნება იმისა, რომ ახალგაზრდა კაცი ხარ, ჯან-ღონით სავსე, შენს პირისპირ საფარიკაო ბილიკზე დგას მალხაზ ადეიშვილი, რომელსაც ნიღაბი უფარავს სახეს. საცერივით დაცხრილული ნიღბიდან ხედავ ბრძოლის ჟინით ანთებულ პარტნიორს და შენც ცდილობ გამოიწვიო, აღძრა შენშიც ეს დაუცხრომელი აზარტი, მაგრამ გრძნობ, რომ გიჭირს...

აი, მისი ხასიათის ერთი ნიშანი: აზარტი, ჟინი, გამარჯვების წყურვილი. ამ თვისებამ მალხაზ ადეიშვილი საკმაოდ სწრაფად დააწინაურა იუნიორთა შორის. ოცი წლის ასაკში მას უკვე სამჯერ ჰქონდა მოპოვებული საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი ახალგაზრდებში. იყო იუნიორთა საკავშირო ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირის მოფარიკავე ვაჟთა ნაკრების წევრობის კანდიდატი. ერთხელ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატშიც მოასწრო გამოსვლა. ასეთი ბიოგრაფია ფარიკაობაში ნიშნავს ითვლებოდე დინამიკურ და პერსპექტიულ სპორტსმენად, რომლის წინაშეც დიდი სარბიელი იშლება.

მალხაზ ადეიშვილზე ვერავინ იტყვის, რომ ფარიკაობაში მისი გზა ია-ვარდით იყო მოფენილი. სპორტში ძალზე ბევრს ნიშნავს თანდაყოლილი მონაცემები და თვითმყოფი ნიჭი. მალხაზს ამ თვისებების შევსება შრომითა და მონდომებით უხდებოდა. შრომა — აი, რა ქმნის, უწინარეს ყოვლისა, სპორტსმენთა დიდი უმრავლესობის ელიტარულ ნაწილს, რამეთუ კაშკაშა ტალანტები, როგორც ცხოვრების ნებისმიერ დარგში, სპორტშიც დიდი იშვიათობაა. მალხაზ ადეიშვილმა თავიდანვე სალად და რეალისტურად აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და მიხვდა, რომ მხოლოდ დაუღალავი შრომით შეეძლო განემტკიცებინა და გაეძლიერებინა ის, რაც ბუნებას მისთვის ჰქონდა ნაბოძები.

ვინ არ იცის, რაოდენი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში მასწავლებელს, პედაგოგს, ხოლო სპორტში — მწვრთნელს. მასზე ბევრად არის დამოკიდებული აღსაზრდელის მომავალი, მისი ზრდა-განვითარება, მისი მოქალაქეობრივი თუ მორალური სახე. მალხაზ ადეიშვილს სწორედ რომ ღირსეული მწვრთნელი შეხვდა — თემო ისლამოვი, კაცი, გამორჩეული თვით სპორტის ისეთ ინტელიგენტურ და ინტელექტუალურ სახეობაშიც კი, როგორიც ფარიკაობაა. ამ კაცს, გარდა მისი პიროვნული ღირსებებისა, ჩვენს თვალში განსაკუთრებულ მომხიბვლელობასა და რომანტიკასაც კი ანიჭებდა ის, რომ დავით კლდიაშვილის შვილიშვილი იყო.

მალხაზ ადეიშვილსაც და თემო ისლამოვის სხვა აღზრდილებსაც ბევრი რამ ჰქონდათ ნასწავლი და გადაღებული თავიანთი მწვრთნელისგან. ეს იყო, უწინარეს ყოვლისა, ფარიკაობის ჩინებული სკოლა, გამართული ტექნიკა, საუკეთესო ფიზიკური მომზადება, უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ფარიკაობისადმი, საზოგადოებაში და სპორტულ სამყაროშიც თავის ღირსეულად დაჭერა და კულტურა. კარგია, როცა ნამდვილ მწვრთნელს ასე ემსგავსებიან მისი საყვარელი მოწაფეები.

მალხაზ ადეიშვილისა და თემო ისლამოვის ურთიერთობაში, როგორც უტყუარ სარკეში, აისახება მწვრთნელისა და აღსაზრდელის, ოსტატისა და შეგირდის, მასწავლებლისა და მოწაფის იდეალური ურთიერთთანამშრომლობის მოდელი. იშვიათად მინახავს მას შემდეგ, რომ მწვრთნელსა და სპორტსმენს ამდენი საერთო ჰქონოდეთ ერთმანეთთან. თემო ისლამოვი უმამოდ გაზრდილ ყმაწვილს განსაკუთრებული მზრუნველობით ექცეოდა, თუმცა ამას ხაზს არ უსვამდა, რათა თავმოყვარე ჭაბუკისათვის უხერხული არ ყოფილიყო.

თემო ისლამოვმა მალხაზის დიდ შრომისმოყვარეობას სწორი კალაპოტი მოუძებნა. წლების მანძილზე იგი ცდილობდა და მიაღწია კიდეც, რომ მალხაზ ადეიშვილს რჩეულთა შორის დაემკვიდრებინა ადგილი და თავისი ამბიციაც ჰქონოდა. ეს იყო ჯანსაღი ამბიცია, რადგანაც მალხაზი არასოდეს ყოფილა მოკლებული ზომიერებასა და რეალიზმს.

მალხაზი მარტო სპორტსმენი რომ ყოფილიყო, მის ბიოგრაფიას ალბათ ბევრი რამ დააკლდებოდა. საბედნიეროდ, მას არასოდეს უფიქრია ეგრეთ წოდებული პროფესიონალი სპორტსმენი ყოფილიყო, როცა სპორტულ მიზანს ეგოისტურად ეწირება პიროვნების კულტურული და ინტელექტუალური განვითარება.

მალხაზის ოთახში შესულს თავი მხატვრის სახელოსნოში ან მწერლის ლაბორატორიაში გეგონებოდათ. ამ შთაბეჭდილებას ქმნიდა აუარებელი წიგნი, რომელთაგან არც ერთს მისი პატრონისათვის არ ჰქონია „დეკორაციული“ მნიშვნელობა. კედლები ნახატებით იყო მოფენილი — მალხაზის თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი, ნიჭიერი მხატვარი თამაზ ხუციშვილი პირდაპირ კედელზევე თითო შტრიხით აცოცხლებდა ნაცნობ-მეგობრებს. აქვე ნახავდით შარჟებს, გროტესკებს, იუმორითა და სიცოცხლით აღსავსე სიუჟეტებს. ერთი სიტყვით, ეს იყო თავისებური უნიკალური გამოფენა, როგორიც აღარასოდეს მინახავს. ოთახის ერთი კუთხე მალხაზის საყვარელი მწერლების — ვაჟა-ფშაველას, ჰემინგუეის, სელინჯერის, გურამ რჩეულიშვილის, სხვათა და სხვათა მოზრდილ ფოტოპორტრეტებს ეჭირა. ამ საოცარ კოლაჟს თითქოს ავსებდა მისი პატრონის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიდრეკილება და გატაცება — ფარიკაობის ატრიბუტი ხმლის სახით.

წარმოიდგინეთ ეს არტისტული ოთახი, წარმოიდგინეთ მისი მომხიბლავი, პატიოსნებით სავსე და გულუხვი პატრონი, წარმოიდგინეთ მისი მეგობარ-ახლობლები, ისინიც მწერლობაზე და ხელოვნებაზე შეყვარებულნი, და თქვენთვის ცხადი გახდება, რატომ იყო მალხაზ ადეიშვილი ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

ჩვენგან უდროოდ წასული ჭაბუკის სახე ერთი წუთითაც არ წაშლილა არა მარტო მისი მეგობარი ქართველი მოფარიკავეების, არამედ მისი დროის არც ერთი საბჭოთა მუშკეტერის მახსოვრობაში. თბილისში სტუმრად ჩამოსული მოფარიკავე თავის მოვალეობად მიიჩნევს მივიდეს მალხაზ ადეიშვილის საფლავთან, რომლის ცნობა მეტად იოლია: იქ დევს მოფარიკავის ხელთათმანი და ხმალი, ორი სიმბოლო იმ სახეობისა, რომელსაც ასე ერთგულად ემსახურა იგი თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე. მიდიან, მოწიწებით დახრიან თავს თავიანთი მეგობრის, თანარაზმელის საფლავთან და სდუმან.

ამ დროს ალბათ აგონდებათ თავიანთი შფოთიანი ახალგაზრდობა, როცა საფარიკაო ბილიკზე ელავდა მარადიული ჭაბუკის მალხაზ ადეიშვილის ესპადრონი.

არჩილ გოგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

47

რა ხდება მეორე წრეში?

11 ივლისს დაიწყო სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის II წრის მატჩები. ამ დღეს გაიმართა მე-18 ტურის პირველი მატჩი ლენინგრადის „ზენიტსა“ და ერევნის „არარატს“ შორის. ამ თამაშის შედეგი ყველას კარგად გახსოვთ — 6:4 „ზენიტის“ სასარგებლოდ. დაგვეთანხმებით, 10 ბურთი ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში თავისთავად უნიკალური ამბავია. გადახედეთ საკავშირო პირველობათა ისტორიას და დარწმუნდებით, რომ მსგავსი უხვგოლიანი მატჩები თითებზეა ჩამოსათვლელი.

ამას მოჰყვა არანაკლებ საოცარი ანგარიშით დამთავრებული მატჩი დნეპროპეტროვსკში, ადგილობრივ „დნეპრსა“ და როსტოვის არმიელთა გუნდს შორის — 6:2 „დნეპრის“ სასარგებლოდ. „დნეპრი“, მართალია, შარშანდელი ჩემპიონია და შინ განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს, მაგრამ როსტოვის არმიელთა გუნდიც ხომ წლევანდელი სეზონის ერთგვარი „აღმოჩენაა“, თანაც სწორედ იმ პერიოდში იგი ლიდერთა შორის იმყოფებოდა.

მსგავსი უცნაურობანი II წრეში საკმარისად მოხდა და სანამ ამის შესახებ ორიოდე სიტყვას ვიტყოდეთ, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ თუ როგორი მაჩვენებლებით დაამთავრეს წლევანდელი ჩემპიონატის I წრე უმაღლესი ლიგის გუნდებმა:

1.	„სპარტაკი“	23 ქულა
2.	„დნეპრი“	23 —
3.	„ზენიტი“	21 —
4.	ასკ რ.	21 —
5.	„ტორპედო“	20 —
6.	„დინამო“ კ.	20 —
7.	„ჩერნომორეცი“	18 —
8.	„დინამო“ მნ.	18 —
9.	„შახტიორი“	17 —
10.	„ქაირათი“	17 —
11.	„მეტალისტი“	16 —
12.	„დინამო“ თბ.	16 —
13.	„ჟალგირისი“	16 —
14.	„არარატი“	14 —
15.	ცსკა	14 —
16.	„ფახთაქორი“	11 —
17.	„ნეფთჩი“	11 —
18.	„დინამო“ მ.	10 —

ჩვენს ფეხბურთში ბოლო წლებში, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდა. როგორლაც შევეჩვიეთ, რომ მოსკოვის სახელგანთქმული გუნდები „დინამო“ და ცსკა, აგრეთვე, წარსული წლების ზოგიერთი სხვა ფავორიტი სატურნირო ცხრილის ბოლოს მოექცნენ, წამყვანი პოზიციები კი „ზენიტს“, „დნეპრს“, „ჩერნომორეცს“, როსტოვის არმიელებს და სხვებს უპირავთ.

ყოველი ჩემპიონატის მეორე წრეში, როგორც წესია, თვალსაჩინო ცვლილებები ხდება ხოლმე, ზოგიერთ ლიდერს აღარ ჰყოფნის „დენთი“ და თანდათან თმობს პოზიციებს, ზოგნი, პირიქით, ბოლო ადგილებიდან წინ ინაცვლებენ, თავს აღწევენ სახიფათო ზონას.

მოვიყვანთ რამდენიმე ისეთ შედეგს, რომლებიც, ჩვენი აზრით, კურიოზულთა რიცხვს მიეკუთვნება. „მეტალისტი“ — ცსკა 4:0, „სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“ 0:1, „დინამო“ მ. — „დინამო“ კ. 1:0, „სპარტაკი“ — „ჟალგირისი“ 1:2, „ფახთაქორი“ — ასკ რ. 4:0, „დინამო“ მ. — „ფახთაქორი“ 5:0, „ჟალგირისი“ — „დინამო“ კ. 1:0 და ა. შ. რას იზამ, ფეხბურთი მოულოდნელობებითაა აღსავსე.

ახლა კი გთავაზობთ სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატის მონაწილეთა მდგომარეობას მხოლოდ II წრის, ე. ი. 11 ივლისის შემდგომი მატჩების შედეგების მიხედვით. ვფიქრობთ, ეს მთლად უსარგებლო რამ არ იქნება, მეორე წრეში ხომ ბევრი რამ შეიცვალა.

1.	„ზენიტი“	11 ქულა
2.	„დინამო“ მნ.	10 —
3.	„ჟალგირისი“	10 —
4.	„ტორპედო“	9 —
5.	„დინამო“ თბ.	8 —
6.	„ჩერნომორეცი“	8 —
7.	„არარატი“	8 —
8.	„მეტალისტი“	7 —
9.	„შახტიორი“	7 —
10.	„ქაირათი“	7 —
11.	„დინამო“ მ.	7 —
12.	„ნეფთჩი“	7 —
13.	„დინამო“ კ.	6 —
14.	„დნეპრი“	5 —
15.	„სპარტაკი“	4 —
16.	„ფახთაქორი“	4 —
17.	ცსკა	3 —

როგორც ხედავთ, განსხვავება პირველი წრის საბოლოო ცხრილსა და მეორე წრის 7-8 ტურის შედეგებს შორის არის და, თანაც, მნიშვნელოვანი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩემპიონატის ფინიშზე ბრძოლა საგრძნობლად გამწვავდება.

გიორგი ეწერელი.

მსოფლიო ჩემპიონატი-86

შესარჩევი მატჩები

გრძელდება 1986 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

აფრიკაში, როგორც ცნობილია, გათამაშების პირველ ეტაპზე ეროვნული გუნდები დაყოფილი არიან წყვილებად. ანგოლის ნაკრებმა თავის მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა სენეგალის გუნდი და ზუსტად ასეთივე ანგარიშით წააგო მეტოქის მინდორზე. გამარჯვებული არც დამატებით დროში გამოვლენილა. შემდეგ პენალტებით ანგოლელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:4 და გათამაშების მეორე წრეში გავიდნენ.

მეორე წრეში თამაშობს მაროკოს ნაკრებიც, რომლებმაც შინაც (4:0) და სტუმრადაც (1:0) დაამარცხა სიერა ლეონეს გუნდი.

ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის რეგიონში პანამის ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მარცხი იწვნიეს ჰონდურასის გუნდთან შეხვედრაში (0:3). ჰონდურასელებმა საპასუხო მატჩიც მოიგეს (1:0) და მეორე წრეში გავიდნენ, სადაც კოსტა-რიკისა და გვატემალის გუნდებს შეხვდებიან.

ინფორმაცია

„ფეიენოორდი“ და „ეინდჰოვენი“

ჰოლანდიაში გაიმართა ფეხბურთელთა ორი საერთაშორისო ტურნირი, რომლებშიც ევროპის ცნობილი საკლუბო გუნდები მონაწილეობდნენ.

როტერდამში ჩატარებული ოთხთა ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ფეიენოორდი“ და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“. დაძაბული მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0. III ადგილისთვის ბრძოლაში გფრ-ის ჩემპიონმა „შტუტგარტმა“ სძლია ბრიუსელის „ანდერლეჰტს“ (ბელგია) — 3:1.

ანალოგიური ტურნირი გაიმართა ეინდჰოვენშიც. ნახევარფინალში „ეინდჰოვენმა“ გამანადგურებელი ანგარიშით (8:0) მოუგო „ფკ ბრიუგეს“ (ბელგია), ხოლო მადრიდის „ატლეტიკომ“ (ესპანეთი) დაამარცხა (1:0) ამსტერდამის „აიაქსი“ (ჰოლანდია). ფინალში „ეინდჰოვენმა“ ტორესენისა და ფალკეს მიერ გატანილი გოლების წყალობით სძლია „ატლეტიკს“ — 2:0. ასეთივე ანგარიშით „აიაქსმა“ მოუგო „ფკ ბრიუგეს“ და III ადგილზე გავიდა.

ფეხბურთის ანტეოსი

ქართველებისა და ბასკების ნათესაობაზე ბევრი ჰიპოთეზა არსებობს. სწორიც რომ არ გამოდგეს ეს თვალსაზრისი, ამდენმა ურთიერთობამ ჩვენ უკვე საბოლოოდ გაგვაცნო და დაგვაახლოვა ერთმანეთს. გაიბა ორი ერის კონტაქტი მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. კონტაქტების დამყარებას ველით სხვა სფეროებშიც, მათ შორის სპორტში, ფეხბურთში, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით გვიყვარს ქართველებსაც და ბასკებსაც. ჩვენ არ გვავიწყდება ბასკური ფეხბურთი ბასკონიის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ომამდელი, აწ უკვე ლეგენდად ქცეული მატჩების შემდეგ; არ გვავიწყდება და მუდამ გვაინტერესებს, რასა იქმს ბასკური ფეხბურთი, როგორი გუნდია მისი საუკეთესო წარმომადგენელი — ბილბაოს „ატლეტიკი“. ვფიქრობთ, მკითხველის ცნობისმოყვარეობას ერთგვარად დააკმაყოფილებს წერილი, რომელსაც ახლა გთავაზობთ.

ესპანეთის, ევროპისა და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ბასკთა ქვეყნის საუკეთესო გუნდი „ატლეტიკი“ მხოლოდ და მხოლოდ ბასკი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. ცუდია ეს თუ კარგი? თუ გავითვალისწინებთ ესპანური ფეხბურთის საკმაოდ მაღალ დონეს და მისი საუკეთესო წარმომადგენლების, განსაკუთრებით გრანდების — „რეალის“, „ბარსელონისა“ და სხვათა ამბიციებს, მათს თითქმის განუსაზღვრელ ფინანსურ შესაძლებლობებს, რისი წყალობითაც ყოველთვის შეუძლიათ ნებისმიერი თანხა გადაიხადონ უცხოელ ვარსკვლავებში, ბასკები მაინცდამაინც კარგ დღეში არ უნდა იყვნენ, მათ მეტად მძაფრ კონკურენციას უწევენ მდიდარი კლუბები. გარდა ამისა, დღევანდელი უმაღლესი ფეხბურთი თავისი ბუნებით სულ უფრო კოსმოპლიტური ხდება — თუ გინდა ჩემპიონი იყო, მარტოოდენ საკუთარი მოთამაშეების იმედად ნუ იქნები. აი, ასეთია თანამედროვე ფეხბურთის მთავარი მოთხოვნა, ყოველ შემთხვევაში — დასავლეთში. ამ საკითხის სხვადასხვა ასპექტზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, მაგრამ, ვფიქრობთ, ნათქვამი საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ ძნელია ბასკებისათვის მეტოქეებთან ჭიდილი ესპანეთშიც და, მით უმეტეს, საერთაშორისო სარბიელზეც.

ახლა ვნახოთ, რა უპირატესობა აქვთ ბასკებს სხვებთან შედარებით, როცა ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ნამდვილი ეროვნული გუნდი ჰყავდეთ. უცხოელი მიმომხილველები „ატლეტიკს“ მიიჩნევენ ფეხბურთის თავისებურ ანტეოსად, რომელსაც მკვიდრად და ღრმად აქვს გადგმული ფესვები ეროვნულ ნიადაგში, ფეხბურთის საკუთარი სკოლის წიაღში. შედარებით მცირერიცხოვანი ერი (დაახლოებით მილიონამდე) ახერხებს და მერე როგორ ახერხებს საკუთარი იერსახე, კოლორიტი და თავისთავადობა არ დაუკარგოს თავის ფეხბურთს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბასკები მთლიანად იზოლირებული არიან ფეხბურთის სამყაროსაგან, რომ მათ პროვინციული შეხედულება აქვთ სპორტსა და ფეხბურთზე. ამას სავსებით მკაფიოდ და გასაგებად განმარტავს „ატლიტიკის“ მწვრთნელი კლემენტე: „ჩვენ უნდა ვისწავლოთ სხვა ქვეყნების ფეხბურთისა და მოთამაშეებისაგან, მაგრამ არა ჩვენი თავისთავადობის საზიანოდ; ბრმად კი არ უნდა გადმოვიღოთ ფეხბურთის ყოველგვარი სიახლე, არამედ — ჩვენივე სპეციფიკის გათვალისწინებით“.

„ატლეტიკი“ საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსე გუნდია, რომლისთვისაც უცხოა შიში ვინმეს წინაშე და არასრულფასოვნების კომპლექსი. იგი სახეა პატარა, მაგრამ ამაყი ერისა, რომელსაც არ სურს გაითქვიფოს სხვა ერში. „ატლეტიკი“ ფეხბურთელთა პირველი კლუბია ესპანეთში: იგი დაარსდა 1898 წელს, „რეალზე“ ოთხი, ხოლო „ბარსელონაზე“ ერთი წლით ადრე. ეს სამი კლუბი ესპანეთის პირველი დივიზიონის ყველაზე ცნობილი გრანდების რიცხვს მიეკუთვნება.

ბასკების გუნდს სხვა მხრივაც შეუძლია თავი მოიწონოს. იგი ოცდაცამეტჯერ მონაწილეობდა ესპანეთის თასის გათამაშების ფინალში და ოცდასამჯერ მოიპოვა ეს პრიზი. ბასკების ბოლო გამარჯვება ამ შეჯიბრების ფინალში „ბარსელონასთან“ (1:0) დაემთხვა მათს მეხუთე „დუბლს“ — გუნდმა ერთ სეზონში ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც. მაგრამ ევროპულ ტურნირებში ბასკებს ბედი არ სწყალობთ. 1977 წელს უეფა-ს თასის გათამაშებაში ისინი ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ ორი თამაშის ჯამში წააგეს „იუვენტუსთან“ (1:0, 1:2). უფრო ადრე, ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, ისინი დამარცხდნენ, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში ბუდაპეშტის „ჰონვედთან“, ხოლო 1983-84 წლების ანალოგიურ ტურნირში წააგეს თასის მომავალ მფლობელთან „ლივერპულთან“. რადა შორის მივდივართ, თვით ესპანელი ფეხბურთის მიმომხილველები „ატლეტიკს“ სხვა გრანდებზე მაღლა აყენებენ. ამ კეთილგანწყობას ხსნიან არა მარტო ბასკების წმინდა სპორტული შედეგებით, არამედ კლუბის ეროვნული პოლიტიკითაც: ბილბაოში არასოდეს უთამაშია ფეხბურთელს, რომელიც წარმომავლობით ბასკონიის პროვინციებიდან არ არის (ასეთი პროვინცია კი ოთხია).

„ატლეტიკი“ ნიადაგ ზრუნავს რეზერვების მომზადებაზე. მას ჰყავს თავისი „ფილიალი“, პროფესიული გუნდი, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში გამოდის და მეორე ადგილი უკავია. მაგრამ ეს გუნდი ვერასოდეს ასცდება თავის „ადგილსამყოფელს“ ანუ მეორე დივიზიონს, რადგან, როგორც მოგახსენეთ, სარეზერვოა. რაც შეეხება თავად ბილბაოს „ატლეტიკს“, იგი ესპანეთის ამჟამინდელი ჩემპიონია.

გუნდის ხელმძღვანელობას გონივრული პოლიტიკა აქვს შემუშავებული საიმისოდ, რომ „ატლეტიკი“ მუდამ დაუბრკოლებლად იღებდეს საიმედო ცვლას, ხოლო თაობათა ცვლა, რაც ახალი მწვრთნელის კლემენტეს მოსვლის შემდეგ დაიწყო, არ იყოს მტკივნეული და დრამატული. როგორ შეძლო ეს ბასკურმა კლუბმა? ბილბაოს ჰყავს ახალგაზრდული კლუბი (არ ავურიოთ მეორე დივიზიონის გუნდში), რომელიც ესპანეთის 1983-84 წლების ჩემპიონია. ვარსკვლავები ამ გუნდიდან გამოდიან.

როგორც ვთქვით, ბოლო სამი წლის მანძილზე მწვრთნელმა კლემენტემ საგრძნობლად გაააახალგაზრდავა გუნდი, რომელიც 1981-82 წლების ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა, ხოლო 1982-83 და 1983-84 წლებში ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა. თავად კლემენტე ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია ესპანეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში — 34 წლისაა. თავის დროზე მას დიდად ნიჭიერ ფეხბურთელად თვლიდნენ, მაგრამ 22 წლისა, როგორც ესპანეთის პრესა წერს, მძიმედ დაშავდა და სარბიელზე აღარ გამოსულა. კლემენტემ დიდი დრამა გადაიტანა, ვიდრე კვლავ დაუბრუნდებოდა ფეხბურთს და მწვრთნელად დაიწყებდა მუშაობას სახელგანთქმულ კლუბში. მას, როგორც ამბობენ, „არაადამიანურად“ უყვარს ფეხბურთი, მაგრამ სიყვარულის გარდა ჩინებულადაც ესმის ეს თამაში და კარგად ერკვევა მის თანამედროვე კონცეფციებში. კლემენტეს ერთ-ერთ დიდ ღირსებად მიაჩნიათ ის, რომ იგი მტკიცე ხასიათისაა, მომთმენია, რწმენა არასოდეს ტოვებს და მისი ოპტიმიზმი მთელ გუნდს გადაედება ხოლმე. ამბობენ, რომ „ატლეტიკი“ თავის მწვრთნელს ჰგავს ორგანიზებულობითა და სიმტკიცით. კლემენტე თავის მასწავლებლად თვლის არა რომელიმე ესპანელს, არამედ ინგლისის ნაკრების მწვრთნელს რობსონს, თუმცა, თანახმად ბასკური ხასიათისა, მასწავლებლის მოძღვრებას ბრმად არ მისდევს და ფეხბურთში თავისი კრედო აქვს. სპეციალისტთა აზრით, კლემენტეს კიდევ ბევრი აქვს სათქმელი და ეს უთუოდ მოახდენს გავლენას „ატლეტიკის“ მომავალზეც.

ახლა თავად კლემენტეს მოწაფეების ანუ თანამოაზრეების შესახებ. ჩვენს მკითხველს კარგად ახსოვს საფრანგეთში ახლახან დამთავრებული ევროპის ჩემპიონატი, კერძოდ, ფინალი: საფრანგეთი — ესპანეთი.

ამ მატჩში „ატლეტიკის“ სამი ცნობილი ფეხბურთელი მონაწილეობდა: გოიკოეჩეა, ურკიაგა და სარაბია. გოიკოეჩეას ესპანეთში მეტსახელად „ძვლების მმტვრეველს“ ეძახიან... როგორც ცნობილი, მან ჰოსპიტალში გაისტუმრა მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები: 1981 წელს — დასავლეთგერმანელი შუსტერი, ხოლო ორი წლის შემდეგ — არგენტინელი მარადონა. მართლაც ძალიან ძლიერი მცველი რომ არ იყოს, ამ გახმაურებული „ნადირობის“ შემდეგ ესპანეთის ნაკრებში მას არავინ გააჩერებდა. რაც შეეხება გოიკოეჩეას უხეშობას, ბევრს მიაჩნია, რომ ეს აშკარად გაზვიადებულია. ასე ფიქრობენ, მაგალითად, კატალონიელი ჟურნალისტები, რომლებიც, სადაც სამართალია, ყველაზე მეტად უნდა ემდუროდნენ მას — ბასკმა მცველმა ხომ სწორედ „ბარსელონას“ დაუმტვრია საუკეთესო მოთამაშეები. სულ ახლახან, კი, ევროპის ჩემპიონატზე, როგორც დასავლეთგერმანული „კიკერი“ წერს, ცალმხრივად ინფორმირებული მაყურებლები და სპეციალისტები განცვიფრებული იყვნენ: ნუთუ ეს არის ფეხბურთელი, რომლის უხეშობაზეც ამდენს ლაპარაკობენო. ჩემპიონატის შემდეგ ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, გოიკოეჩეა არაფრით არ ჰგავს ტენდენციურ პორტრეტს ფრანკენშტაინის საშინელებათა კოლექციიდან.

მცველ ურკიაგას დასავლეთგერმანელი ჟურნალისტები თამაშის მანერით კალცს ამსგავსებენ. იგი ჰამბურგელი ფეხბურთელის სტილით მიჰქრის გვერდითი ხაზის გასწვრივ, ტექნიკურად იცილებს გზიდან მეტოქეებს და ბურთს ჰკიდებს საჯარიმოზე, სადაც მას ელის „თავურის“ ჩინებული ოსტატი სანტილიანა.

ნახევარმცველ სარაბიას „ფეხბურთის არტისტს“, „ინტელიგენტსა“ და „ინტელექტუალს“ ეძახიან. ბოლო ორი წლის მანძილზე ის გახლავთ ყველაზე შედეგიანი ბასკი ფეხბურთელი, მაგრამ არამც და არამც — ცალმხრივი შემსრულებელი. ესპანური პრესა წერს, სარაბია ის ფეხბურთელია, რომელიც ყველაზე ინერტულ და გულგრილ მაყურებელსაც კი წარმოაქტუნებს ადგილიდანო. სარაბია ამაყია და, თუ თამაში არ გამოუვიდა, თავს ჩაქინდრავს ხოლმე. კარგია, როცა ფეხბურთელი თავის თავსაც სცემს პატივს და მაყურებელსაც.

მეოთხე ბასკი ფეხბურთელი, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატისთვის ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანა მწვრთნელმა მუნიოსმა, „ატლეტიკის“ მეკარე სუბისარეტა იყო. იგი მაყურებელს არც ერთ თამაშში არ უნახავს და ამჯერად ძირითადი მეკარის არკონადას ჩრდილში იდგა. მაგრამ არკონადა უკვე ოცდაათი წლისაა, სუბისარეტა კი — ჯერ მხოლოდ ოცდაორისა. ახალგაზრდა მეკარის დამსახურებაა, რომ „ატლეტიკმა“ ესპანეთის ჩემპიონატის 34 მატჩში მხოლოდ 3[illegible] ბურთი გაუშვა, მაგრამ ბოლო სეზონში მწვრთნელი კლემენტე საგონებელში ჩააგდო იმან, რომ „ატლეტიკმა“ ჩემპიონატში გაიტანა მხოლოდ 53 ბურთი, 18-ით ნაკლები წინა სეზონთან შედარებით. ამას გუნდის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელის — დანის არყოფნით ხსნიან. 33 წლის დანი, რომელსაც „გოლებზე მონადირეს“ ეძახიან, მძიმედ დაშავდა და გამოეთიშა გუნდს, თუმცა იმედოვნებენ, მალე დაბრუნდებაო.

რაც მთავარია, ესპანეთის ყველაზე ძველი კლუბი 1898 წლიდან ღირსეულად ართმევს თავს არა მარტო არსებობის, არამედ თვითდამკვიდრებისა და თავისთავადობის ურთულეს პრობლემას. მაგრამ ბასკური ფეხბურთის ამოცანები სულ უფრო რთულდება და შესაბამისად ფართოვდება მისი კონსტრუქციული მუშაობის მასშტაბიც: რამდენიმე წლის წინ ბილბაოს მახლობლად შეიქმნა ახალი საფეხბურთო სკოლა, სადაც ყოველწლიურად ათასობით ბავშვი ვარჯიშობს, „ატლეტიკი“ სწორედ მათი წიაღიდან იღებს საიმედო შევსებას და არა უცხოური ფეხბურთიდან.

არჩილ ბურდული.

„მეგობრობა —84“

ძლიერი შემადგენლობა

აკადემიურ ნიჩბოსნობაში შედგა პირველი სტარტები. ვაჟთა შეჯიბრება ორადგილიანი ნავებით (მესაჭით) მოიგეს ჩეხოსლოვაკიელებმა მილან შკოპეკმა და ოლდრეიხ გაიდუშეკმა. 2000 მეტრის გავლას მათ 7.17,31 მოანდომეს. ჩეხოსლოვაკიელთა წყვილს 0,38 წამით ჩამორჩნენ მსოფლიო ჩემპიონები — იგორ მაისტერენკო და სტასის ნორუშაიტისი (სსრ კავშირი). გამარჯვებულმა ნიჩბოსნებმა ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. საბჭოთა წყვილს კი „იმედის“ სერიაში მოუხდება ბრძოლა.

მოსკოვის ოლიმპიურ სანიჩბოსნო ბაზაზე, კრილატსკოეში, თავი მოიყარა ბევრმა ტიტულიანმა ნიჩბოსანმა. მათ შორის არიან ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, იტალიის, კუბის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. ოთხი წლის წინ (მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში) ამავე ბაზაზე თავი გამოიჩინეს გდრ-ის წარმომადგენლებმა, რომლებმაც რვიდან შვიდი რბოლა მოიგეს. გერმანელი ნიჩბოსნები მზად არიან გაიმეორონ ეს წარმატება.

გთავაზობთ სხვა ტექნიკურ შედეგებს:

ქალები. ერთადგილიანი. 1. მარია დანილიუკი (სსრ კავშირი) — 3.52,77, 2. ბრიგიტ პეტერი (გდრ) — 3.53,09, 3. მაგდალინა იანკოვა-გეორგიევა (ბულგარეთი) — 3.57,73.

ორადგილიანი გასაშლელით უმესაჭოდ. 1. ვიდა ცესიუნაიტე და რაისა დოლიგოიდა (სსრ კავშირი) — 3.36,51, 2. სიუზანა ჰაინიკე და ჰაიკე ვინკლერი (გდრ) — 3.40,75, 3. რიტა ტოდოროვა და ტეოდორა ზარევა (ბულგარეთი) — 3.44,16.

ორადგილიანი წყვილები. 1. კრისტენ პეტერსი და რამონა ბალთაზარი (გდრ) — 3.30,27, 2. მარგარიტა დობჩევა და ანკა რუსევა (ბულგარეთი) — 3.32,93, 3. ტატიანა ბაშკატოვა და მაირა ზალიტე (სსრ კავშირი-I) — 3.33,16.

ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭით. 1. სსრ კავშირი-I — 3.22,37, 2. ბულგარეთი — 3.28,42, 3. გდრ — 3.30,06.

ოთხადგილიანი წყვილები. 1. სსრ კავშირი-I — 3.18,41, 2. ბულგარეთი — 3.28,42, 3. გდრ — 3.30,06.

ოთხადგილიანი წყვილები. 1. სსრ კავშირი-I — 3. 18,41, 2. ბულგარეთი — 3.20,73, 3. უნგრეთი — 3.35,58.

რვაადგილიანები. 1. სსრ კავშირი-I — 3.09,27, 2. ბულგარეთი — 3.13,92, 3. სსრ კავშირი-II — 3.14,78.

ორი რეკორდი ერთ გაცურვაში

მოსკოვი. სპორტკომპლექს „ოლიმპიურის“ საცურაო აუზში კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. ამჯერად თავი გამოიჩინეს გდრ-ის გუნდის მოცურავეებმა. მათ კომბინირებულ ესტაფეტაში სარეკორდო შედეგი — 4.03,69 აჩვენეს. ესტაფეტის მსვლელობაში, უფრო სწორად, მის პირველ ეტაპზე, ინა კლებერმა (გდრ) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაშიც — 1.00,59. ძველი მსოფლიო რეკორდი, რომელიც ეკუთვნოდა კლებერის თანაგუნდელ რიკე რაინიშს, იყო 1.00,86.

საბჭოთა კავშირის გუნდმა მოიპოვა ვერცხლის მედალი და გააუმჯობესა ეროვნული რეკორდი — 4.08,13. მესამე შედეგი აჩვენეს ბულგარელმა მოცურავეებმა — 4.16,74.

კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს გდრ-ის წარმომადგენლებმა. ამჯერად 200 მ კომპლექსურ ცურვაში იმარჯვა უტე გევენიგერმა — 2.11,79. ელენე დენდებეროვა მეორე იყო — 2.14,56 (ახალი საკავშირო რეკორდი), სვეტლანა კოპჩიკოვა (სსრ კავშირი) მესამე — 2.15,40.

ქალთა სტაიერულ დისტანციაზე (800 მ) პირველი ადგილი ხვდა ასტრიდ შტრაუსს — 8.29,35. II ადგილზე გავიდა გრიტ რიპტერი (ორივე — გდრ) — 8.33,47, III — ირინა ლარჩიკოვა (სსრ კავშირი) — 8.39,57.

ვაჟები. 200 მ ბატერფლაი. 1. ალექსანდრე პრიგოდა — 1.58,83 (სსრ კავშირის რეკორდი), 2. სერგეი ფესენკო (ორივე — სსრ კავშირი) — 1.59,52, 3. მარცელ გერი (ჩეხოსლოვაკია) — 2.00,34.

100 მ გულაღმა. 1. დირკ რიჰტერი (გდრ) — 55,67, 2. ვლადიმერ შემეტოვი (სსრ კავშირი) — 55,88 (ახალი საკავშირო რეკორდი), 3. ფრანკ ბალტრუში (გდრ) — 56,39.

დღეს ბოლო დღეა

მშვილდოსნობა. პლზენში (ჩეხოსლოვაკია) მიმდინარეობს მშვილდოსანთა ტურნირი „მეგობრობა-84“-ის პროგრამით. შეჯიბრებაში მონაწილეობს ავსტრიის, ბულგარეთის, უნგრეთის, კსდრ-ის, კუბის, მონგოლეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის 47 მშვილდოსანი.

პირველი დღის შემდეგ ქალთა შორის დაწინაურდა მსოფლიოს ექსჩემპიონი, დუშანბელი ზებინისო რუსტამოვა — 636 ქულა. მეორე შედეგი ჰქონდა ასევე საბჭოთა მშვილდოსანს ჰანდა-ცირენ გამბოქაპოვას — 631. III ადგილზე იყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ო. კუანგ სუნი — 626.

ასპარეზობის მეორე დღეს პრიზიორთა თანმიმდევრობა დაირღვა: გამბოქაპოვამ პირველ ადგილზე გადაინაცვლა, რუსტამოვამ კი მეორეზე.

ოთხი დისტანციის ჯამში (70, 60, 50 და 30 მ.) გამბოქაპოვას 1303 ქულა აქვს. ასეთი შედეგი ჩეხოსლოვაკიის სასროლეთებზე ჯერ არც ერთ მშვილდოსანს არ უჩვენებია. რუსტამოვა მეორე ადგილზეა — 1286, ო. კუანგ სუნი მესამეზე — 1275.

კარგად დაიწყო ვაჟთა შეჯიბრება ჩეხოსლოვაკიის გუნდის ლიდერმა სტანისლავ ვიდიმმა. პირველ დისტანციაზე (90 მ.) მან 309 ქულა მოაგროვა და პირადი რეკორდი დაამყარა, მაგრამ მეორე დისტანციაზე (70 მ) ხელი მოეცარა. დაწინაურდა საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი იური ლეონტიევი, რომელიც ვიდიმს 8 ქულით უსწრებდა.

მეორე დღეს ლეონტიევმა კიდევ უფრო მეტად განიმტკიცა ლიდერის პოზიცია. ახლა მას 1295 ქულა აქვს.

მშვილდოსანთა ტურნირი დღეს დამთავრდება.

სამივე შეხვედრა დიდი ანგარიშით

მოსკოვი. წარმატებით დაიწყო ტურნირი საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა. მან უკვე მოიგო სამი შეხვედრა, თანაც სამივე დიდი ანგარიშით. უნგრეთის გუნდი ჩვენმა სპორტსმენებმა დაამარცხეს 115:64, კოლუმბიის — 143:41, ფინეთის — 129:70.

პირველ ქვეჯგუფში საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად გამოდიან კუბელები, რომლებსაც ასევე სამი მატჩი აქვთ მოგებული: კოლუმბიასთან — 126:47, ბულგარეთთან — 85:77 და უნგრეთთან — 97:75.

მეორე ქვეჯგუფში ლიდერობს პოლონეთის ნაკრები — სამი გამარჯვება.

ქალთა ტურნირი ტარდება წრიული სისტემით. აქ ჯერჯერობით წარმატებით ასპარეზობენ სსრ კავშირის, პოლონეთის, ბულგარეთისა და კუბის გუნდები.

დარჩა გადამწყვეტი მატჩები

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონის მცირე სპორტულ არენაზე გაიმართა ბალახის ჰოკეისტთა ტურნირის ნახევარფინალური მატჩები (ვაჟთა შორის).

ჯერ ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის პირველი და მეორე გუნდები. პირველი ნაკრების უპირატესობა ამჯერად აშკარა იყო — 8:0 (2:0). მეორე ნახევარფინალში პოლონელმა ჰოკეისტებმა დაამარცხეს ზიმბაბვეს გუნდი — 4:1 (1:0). სსრ კავშირის პირველი ნაკრები და პოლონეთის ჰოკეისტები ფინალში გავიდნენ. ჩვენი ქვეყნის მეორე გუნდი და ზიმბაბვეს სპორტსმენები ბრინჯაოს მედლებს გაითამაშებენ.

მეხუთე ადგილის ბედი გადაწყდება გდრ-ისა და კუბის ჰოკეისტთა შეხვედრაში. მანამდე გერმანელებმა დაამარცხეს ავღანეთის გუნდი — 27:0, ხოლო კუბელებმა — ფინეთის სპორტსმენები 5:2.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

გიორგი ჩოჩიშვილი,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).
მოსკოვი.

ელვა-ინფორმაცია

ვარშავა. ძიუდოისტთა ტურნირის პირველ დღეს გათამაშდა მედლების სამი კომპლექტი:

86 კგ. 1. ვიტალი პესნიაკი (სსრ კავშირი), 2. კარელ პურკერტი (ჩეხოსლოვაკია), 3. კშიშტოფ კურჩინა (პოლონეთი) და ოდვოიგიინ ბალჟინიანი (მონღოლეთი); **95 კგ.** 1. ზბიგნევ ბელიავსკი (სსრ კავშირი), 2. ისააკ ასკუია (კუბა), 3. ლაიოშ მოლნარი (უნგრეთი) და ვალერი დივისენკო (სსრ კავშირი). **მძიმე.** 1. გრიგორი ვერიჩევი (სსრ კავშირი), 2. დიმიტრ ზაპრიანოვი (ბულგარეთი), 3. კშიშტოფ შაბატა (პოლონეთი) და ჰენრი შტორი (გდრ).

წარმატება სპარტაკიადის კვირაძალზე

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს ოთხ დღეს მასპინძლობდა თბილისის „ბურევესტნიკის“ კომპლექსი, სადაც მიმდინარეობს პროფტექგანათლების მოსწავლეთა XVII საკავშირო ზაფხულის სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა მხატვრულ ტანვარჯიშში.

შეჯიბრება შეჯიბრებად, მაგრამ ახლა ყველა მწვრთნელის ყურადღება მოსწავლეთა სპარტაკიადისკენ არის მიმართული და თითოეული სპორტსმენის ყოველი გამოსვლაც უფრო ნაკრებში პოზიციის გამაგრება, ადგილის დამკვიდრებაა.

შეუძლებელია გულგრილი დარჩეთ ევგენია შირინკინას რომელიც გნებავთ გამოსვლით. აშკარაა, რომ მწვრთნელთან (მარინა ვიშნიაკოვა) ერთად ბევრს მუშაობს რთული ილეთების სწრაფად და უზადოდ შესრულებაზე, ტექნიკაზე, კომპოზიციაზე. ახლანდელი შეჯიბრების პირველივე დღიდან ცხადი გახდა, რომ რსფსრ-ის, მოსკოვის, ლენინგრადის, ლატვიისა და უკრაინის ძლიერი გუნდების ფავორიტებს შირინკინასთან ბრძოლა გაუჭირდებოდათ. ასეც მოხდა: ასპარეზობის ბოლო დღეს, ფინალურ შეჯიბრებაში შირინკინამ პირველი ადგილები დაიკავა სახტუნაოთი, რგოლით, ლენტით და უსაგნოდ ვარჯიშში და აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილი დაიკავა ლარისა სავჩენკოვამ, მესამე — ოლგა კოვალიოვამ (ორივე — რსფსრ).

სახტუნაოთი ფინალურ შეჯიბრებაში მოხვდა საქართველოს „შრომითი რეზერვების“ მეორე წარმომადგენელი ელისო ბედოშვილიც. მან მშვენივრად შეასრულა ვარჯიში თავისი საყვარელი საგნით და მესამე ადგილი დაიკავა.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველი იყო რსფსრ-ის, მეორე — საქართველოს, მესამე — უკრაინის ნაკრები.

• • •

სურათზე: ლარისა სავჩენკოვა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ინფორმაცია

ჰოკეი

კანადის თასის მესამე გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან კანადაში გაფრინდა საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი.

გუნდის შემადგენლობაში არიან: მეკარეები — მიშკინი (მოსკოვის „დინამო“) და ტიჟნიხი (ცსკა), მცველები — კასატონოვი-გუსაროვი, სტარიკოვი-სტელნოვი, ი. გიმაევი-ზუბკოვი (ცსკა), ბილიალეტდინოვი-პერვუხინი (მოსკოვის „დინამო“); თავდამსხმელები — მუკაროვი-ლარიონოვი-კრუტოვი (ცსკა), ტიუმენოვი-შეპელიოვი-კოჟევნიკოვი („სპარტაკი“), სკვორცოვი-კოვინი-ვარნაკოვი („ტორპედო“, გორკი), სვეტლოვი-სემიონოვი-იაშინი („დინამო“, მოსკოვი). გუნდის მწვრთნელები — ვ. ტიხონოვი და ვ. იურზინოვი.

კანადის მატჩებზე მსაჯად მიწვეულია ნოვოსიბირსკელი არბიტრი ი. კარანდინი.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ექვსი უძლიერესი ნაკრები (სსრ კავშირის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, აშშ-ის, გფრ-ის) ჯერ ჩაატარებს ერთწრიან ტურნირს, ამის შემდეგ ნახევარფინალები და ფინალი გაიმართება. გამარჯვებულის გამოსავლენად საჭიროა ფინალში სამიდან ორი მატჩის მოგება. ტურნირი სტარტს აიღებს 1 სექტემბერს.

კანადის თასის პირველ გათამაშებაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, მეორეში კი წარმატება საბჭოთა ჰოკეისტებს ხვდათ.

ბატუტზე ხტომა

იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ბატუტზე მხტომელებმა ოქროს მედლები მოიპოვეს გუნდურ შეჯიბრებაში — 197,4 ქულა. II ადგილზე გავიდა ავსტრალიის ნაკრები — 187,9, მესამეზე — საფრანგეთის გუნდი — 187,5.

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ 34-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 4 (კრივი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 27 (მშვილდოსნობა), 36 (ავიასპორტი), 37 (ავტოსპორტი), 45 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 2 (ბიატლონი), 3 (ბობსლეი), 10 (წყალბურთი), 20 (აფროსნობა), 28 (ტყვიის სროლა).

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 26 აგვისტო. „სინათლის“ სტადიონი. **„ავტომობილისტი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი).** დასაწყისი 19 საათზე.

რედაქტორი ა. გოგელია.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის გამზ. № 74)
27 აგვისტო
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
II ლიგა, IX ზონა
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი)
დასაწყისი 19 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 ~~11~~ 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 09986